



თოქ-შოუების წინასაარჩევნო მედია მონიტორინგი

20 ოქტომბერი - 15 ნოემბერი 2013

2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით CRRC საქართველომ განახორციელა მედიის მონიტორინგი ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის „პროფესიონალური მედია არჩევნებისთვის“ ფარგლებში. მონიტორინგის ფარგლებში დაკვირვება ხდებოდა საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებზე საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე, აჭარის ტელევიზიაზე, რუსთავი 2-ზე, იმედზე, მაესტროზე, კავკასიაზე და მეცხრე არხზე (რომელმაც აგვისტოს ბოლოს მაუწყებლობა შეწყვიტა). ასევე, 16 სექტემბრიდან დაკვირვება ხდებოდა პრაიმტიმის დროს გასულ ყველა პოლიტიკურ თოქ-შოუზე. დაკვირვების ქვეშ მოხვდნენ შემდეგი არხები და თოქ-შოუები:

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი: „პირველი სტუდია“ - ეკა მიშველაძე;

რუსთავი 2: „არჩევანი“ - გიორგი გაბუნია, „პოზიცია“ - ნინო შუბლაძე;

იმედი: „პოლიტიკის დრო“ - თეა სიჭინავა, „ღია ეთერი“ - ვახო სანაია;

მაესტრო: „სუბიექტური აზრი“ - დიანა ტრაპაიძე და თეონა გეგელია, „პოლიტმეტრი“ - ნინო ჟიჟილაშვილი, „არგუმენტები“ - ნინო თოლორდავა;

კავკასია: „სტუდია სპექტრი“ - დავით აქუბარდია, „ბარიერი“ - ნინო ჯანგირაშვილი და ალექსანდრე ელისაშვილი, „ცხელი ხაზი“ - ალექსანდრე ელისაშვილი და მასთან ერთად გადაცემას მორიგეობით უძღვებიან ზვიად ქორიძე და მერაბ მეტრეველი;

ტვ3: „დიდი პოლიტიკა“ - ინგა გრიგოლია;

ტაბულა: „ფოკუსი“ - მონაცვლეობით უძღვებიან სალომე უგულავა და ნინო მაჭარაშვილი.

მეთოდოლოგია და ანალიზი

თოქ-შოუების წინასაარჩევნო მედია მონიტორინგი მოიცავს მხოლოდ თვისებრივ ნაწილს. მონიტორინგის დროს დაკვირვება ხდება ჟურნალისტებზე სხვადასხვა კომპონენტების მიხედვით. ფასდება ჟურნალისტების როლი და ჩართულობა გადაცემის განმავლობაში. ჟურნალისტი უბრალოდ მოდერატორია, რომელიც მართავს პროცესს, თუ ცდილობს თავისი პოზიციის დაფიქსირებას. რამდენად აცდის თოქ-შოუს წამყვანი სტუმრებს აზრის გამოთქმას და როდის აწყვეტინებს საუბარს. ასევე, ხდება დაკვირვება, თუ რამდენად თანაბარ პირობებში აყენებს ჟურნალისტი სტუმრებს: ჟურნალისტის კითხვები რამდენად თანაბრად მომთხოვნი/ლმობიერია ყველა სტუმრის მიმართ და რამდენად ცდილობს ის სტუმრებისგან სიღრმისეული ინფორმაციის მიღებას ჩაძიების გზით. მონიტორინგი ასევე აკვირდება თოქ-შოუებში სიძულვილის ენის (შეურაცხმყოფელი ან დამამცირებელი ფრაზების/განცხადებების) გამოყენებას წამყვანების მხრიდან და მათ რეაგირებას სტუმრების მიერ სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევებზე.

მოცემული ანგარიში მოიცავს თოქ-შოუების მედია მონიტორინგის შედეგებს 20 ოქტომბრიდან 15 ნოემბრის ჩათვლით.

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის პოლიტიკური თოქ-შოუ „პირველი სტუდია“, რომელიც ყოველ სამუშაო დღეს საღამოს ეთერში გადის, 20 ოქტომბრიდან 16 ნოემბრამდე პერიოდში სტუმრების მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. გადაცემაში მიწვეულნი იყვნენ მთავრობის წარმომადგენლები, საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის წევრები, არასაპარლამენტო ოპოზიციის, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები და პრეზიდენტობის კანდიდატები. საინტერესოა, რომ ძირითად საპრეზიდენტო კანდიდატებთან ერთად გადაცემას სტუმრობდნენ არაკვალიფიციური კანდიდატები და მათაც ჰქონდათ საშუალება, ესაუბრათ თავის საარჩევნო დაპირებებსა და პოლიტიკურ გეგმებზე. არჩევნების წინა გადაცემაში წარმოდგენილი იყო ყველა მთავარი მონაწილე პარტიის წარმომადგენელი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გარდა. თუმცა, ჟურნალისტმა აღნიშნა, რომ მათ უარი თქვეს გადაცემაში მონაწილეობაზე. არჩევნების შემდეგ თოქ-შოუს ორი საპრეზიდენტო კანდიდატი სტუმრობდა: შალვა ნათელაშვილი და გიორგი თარგამაძე.

მონიტორინგის პერიოდში „პირველ სტუდიაში“ განიხილეს ქვეყანაში მიმდინარე ყველა ძირითადი პოლიტიკური მოვლენა, მათ შორის:

- არჩევნების წინა და შემდგომი პოლიტიკური პროცესები, არჩევნების შედეგები,
- ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური გეგმები,

- საკადრო გადაადგილებები მთავრობაში,
- გიორგი მარგველაშვილის ინტერვიუ რუსულ მედიაში,
- ხურჩისა და ლაფანყურის სპეცოპერაციების პოლიტიკური შეფასება,
- გზა ევროპისკენ და ნატოსკენ, როგორ ასრულებს საქართველო დასავლეთის რეკომენდაციებს,
- ვილნიუსის სამიტი,
- პრეზიდენტის მიერ გამოცემული შეწყალების აქტი და სხვა.

თოქ-შოუში მოწვეული სტუმრები ყოველთვის შეესაბამებიან განსახილველ თემას. წამყვანი ცდილობს, დამატებითი კითხვებითა და ჩამიებით სრული ინფორმაცია მიიღოს საკითხზე. თუმცა, სტუმრებს აზრის დასრულებას ყოველთვის აცდის. წამყვანის კითხვებიც თემის სიმწვავესთან ერთად უფრო მომთხოვნი ხდება და განსხვავებული კუთხიდანაა დასმული, რომ რესპონდენტის მიერ გამოთქმული მოსაზრების საპირისპირო აზრიც დაფიქსირდეს. თუმცა, რიგ შემთხვევაში, როცა გადაცემაში არა ერთი, არამედ რამდენიმე სტუმარია ან როცა სტუმარი ძალიან აქტიურია, წამყვანს უჭირს სიტუაციის გაკონტროლება.

გადაცემაში სტუმრები, როგორც წესი, თანაბარ მდგომარეობაში არიან და წამყვანი მიკერძოებულობით არ გამოირჩევა. დროსაც დაახლოებით თანაბრად ანაწილებს. თუმცა, მაგალითად, 6 ნოემბრის გადაცემაში, სადაც მხოლოდ ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები იყვნენ სტუმრად, ნაციონალური მოძრაობის წევრ გიგი წერეთელს მთელი ბლოკი დაეთმო, დანარჩენი 5 სტუმარი კი ერთად იყო წარმოდგენილი მეორე ბლოკში. წამყვანმა აღნიშნა, რომ რადგანაც წინა დღეს ხელისუფლება იყო სტუდიაში, ამის დასაბალანსებლად იმ გადაცემაში წერეთელი ჰყავდათ მიწვეული. თუმცა, არ განუმარტავს, რატომ იყო იგი ცალკე ბლოკში.

თოქ-შოუს წამყვანი სიძულვილის ენას და არაკორექტულ გამონათქვამებს არ იყენებს. გადაცემაში ყოველთვის არის საუბარი კონკრეტულ თემებზე და კონკრეტულ წყაროებზე დაყრდნობით.

რუსთავი 2

რუსთავი 2-ზე გადის ორი პოლიტიკური თოქ-შოუ: „პოზიცია“ (წამყვანი: ნინო შუბლაძე) და „არჩევანი“ (წამყვანი: გიორგი გაბუნია). ორივე თოქ-შოუ განიხილავს კვირის მნიშვნელოვან მოვლენებს, სტუმრად ჰყავს მრავალფეროვანი და საინტერესო სტუმრები და საკმაოდ ინფორმაციულია.

თოქ-შოუ „პოზიცია“ განიხილავს კვირის მნიშვნელოვან მოვლენებს. სტუმრად იწვევენ საკმაოდ მაღალი რანგის პოლიტიკურ ფიგურებს როგორც უმრავლესობიდან, ისე უმცირესობიდან. არჩევნების წინა პერიოდის დასასრულს, 25 ოქტომბერს თოქ-შოუს სტუმრობდა ხუთი მთავარი საპრეზიდენტო კანდიდატი: გიორგი მარგველაშვილი, დავით ბაქრაძე, ნინო ბურჯანაძე, გიორგი თარგამაძე და შალვა ნათელაშვილი. კანდიდატები პირისპირ ისხდნენ წამყვანთან, ყველა მათგანს თანაბარი დრო დაეთმო - 20 წუთი. არ შეინიშნებოდა წამყვანის მხრიდან მიკერძოება რომელიმე კანდიდატის მიმართ. ყველასთან კონსტრუქციული და საკმაოდ მომთხოვნი კითხვები ჰქონდა იქიდან გამომდინარე თუ ვისთან რა კითხვები იყო უფრო აქტუალური.

მონიტორინგის პერიოდში თოქ-შოუში განიხილეს შემდეგი თემები:

- ინაუგურაცია,
- გიგა ბოკერიას პოზიცია,
- მთავარი პროკურორის პოზიცია,
- ახალი პროკურორი,
- ახალი პრემიერ-მინისტრი და მისი გუნდი,
- კრიმინალური მდგომარეობა ქვეყანაში,
- ბიძინა ივანიშვილის წასვლა,
- ქართულ-რუსული ურთიერთობების პერსპექტივები და საქართველოს ევროპული მომავალი,
- ეკონომიკური მდგომარეობა.

ისეთ გადაცემებში, სადაც რამდენიმე სტუმარი ერთადაა სტუდიაში და დებატების ფორმატია, ნინო შუბლაძე ცდილობს, იყოს მოდერატორი და ორივე მხარის წარმომადგენელს თანაბრად დაუთმოს დრო და მისცეს აზრის გამოთქმის საშუალება. ერთი სტუმრის შემთხვევაში ოპონირებასაც უწევს მას და საპირისპირო არგუმენტები მოჰყავს. ძირითადად სტუმრებთან დამოკიდებულება ერთნაირია. თუმცა, მაგალითად, არჩილ კვიციანიშვილის სტუმრობისას 1 ნოემბრის გადაცემაში მის მიმართ მეტად კრიტიკული იყო და ხშირად უსვამდა ხაზს პროკურატურის სუსტ მუშაობას.

ნინო შუბლაძე არ იყენებს სიძულვილის ენას ან შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს და არც მისი გადაცემის სტუმრები საუბრობენ არაკორექტულად.

თოქ-შოუ „არჩევანი“ არჩევნებამდე საპრეზიდენტო კანდიდატებზე იყო ფოკუსირებული. გადაცემაში იწვევდა კანდიდატებსა და მათ პოლიტიკურ გუნდებს, ოჯახის წევრებსა და მხარდამჭერებს, რომ შეძლებისდაგვარად მრავალმხრივად წარმოეჩინა კანდიდატები. მონიტორინგის მოცემულ პერიოდში არჩევნებამდე გადაცემას სტუმრობდა სახელისუფლებო კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი. გადაცემაში მონაწილეობდნენ ხელისუფლების გუნდის წევრები და მინისტრები. წამყვანი არ იყო მის მიმართ გამორჩეულად კრიტიკული ან გამორჩეულად დადებითი; იყო უშუალო და კეთილგანწყობილი სტუმრებისა და დამსწრე აუდიტორიის მიმართ და სვამდა კითხვებს კანდიდატისა და მისი პოლიტიკური გეგმების შესახებ. გარდა ამისა, თოქ-შოუს 20 ოქტომბრიდან 15 ნოემბრამდე ასევე სტუმრობდნენ საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის წევრები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და არაპოლიტიკური სფეროს წარმომადგენლებიც.

აღსანიშნავია, 5 ნოემბრის გადაცემაში ბაჩო ახალაიას მეუღლის, ანი ნადარეიშვილის სტუმრობაც, რომლის შემდეგაც შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ ბაჩო ახალაია უდანაშაულოა და უსამართლოდ იმყოფება წინასწარ პატიმრობაში. გადაცემის მეორე ბლოკში ამ თემას უკვე ბაჩო ახალაიას ადვოკატი, იურისტები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები განიხილავდნენ. წამყვანმა აღნიშნა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა, სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, გადაცემაში მონაწილეობა არ ისურვეს და ამის გამო ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებიც არ მოიწვიეს და საკითხის განხილვა არაპოლიტიკოსებთან არჩიეს.

მონიტორინგის პერიოდში თოქ-შოუში განიხილეს შემდეგი თემები:

- საარჩევნო პროგნოზები,
- არჩევნების შედეგები,
- პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენცია,
- პარლამენტის ქუთაისიდან თბილისში გადმოტანის საკითხი,
- ახალაიას სასამართლო პროცესები.

წამყვანი ძალიან აქტიურადაა ჩართული გადაცემაში. სტუმრებს ხშირად ეძიება დამატებითი ინფორმაციის მისაღებად და ნათქვამის დასაზუსტებლად. ზოგჯერ უბრალოდ მოდერატორია, როგორც 29 ოქტომბრის გადაცემაში, სადაც სტუმრებმა უმრავლესობიდან, უმცირესობიდან, ექსპერტებმა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებმა შეაფასეს არჩევნების წინა პერიოდი და არჩევნების დღე. გაბუნია ცდილობდა, ყველა სტუმრისთვის

მიეცა აზრის გამოთქმის საშუალება და დარბაზში მყოფ სტუდენტებსაც დაუთმო დრო კომენტარის გასაკეთებლად. მიუხედავად იმისა, რომ სტუდიაში მყოფ ოპონენტებს შორის ხშირად იყო შეკამათება, გაბუნია დიდად არ ერეოდა. იგი რეაგირებდა მაშინ, როცა სტუმრები არაკორექტულ გამონათქვამებს იყენებდნენ და კორექტულობისკენ მოუწოდებდა მათ.

წამყვანის კითხვები სტუმრების მიმართ საკმაოდ მომთხოვნია. გაბუნია განსხვავებული პოზიციიდან მათ ოპონირებასაც უწევს. სტუმრები უმეტესად თანაბარ მდგომარეობაში არიან. თუმცა, ზოგჯერ დროის თანაბრად განაწილება არ გამოდის. გაბუნია სიძულვილის ენას ან არაკორექტულ გამონათქვამებს არ იყენებს.

იმედი

იმედზე მონიტორინგი აკვირდება ორ თოქ-შოუს: „ღია ეთერი“, რომელიც ვახო სანაიას მიჰყავს და „პოლიტიკის დრო“, რომელსაც თეა სიჭინავა უძღვება. „პოლიტიკის დრო“ ორშაბათს, „ღია ეთერი“ კი - პარასკევს გადის ეთერში.

თოქ-შოუ „ღია ეთერი“ მონიტორინგის ამ პერიოდში 4-ჯერ გავიდა ეთერში. გადაცემას სტუმრობდნენ როგორც საპარლამენტო უმრავლესობის, ისე საპარლამენტო უმცირესობის წევრები და მინისტრები. ასევე, პოლიტოლოგები, დიპლომატები, მწერლები, ფსიქოლოგები, მედიის წარმომადგენლები, ხელოვნების სფეროს წარმომადგენლები, ომის ვეტერანები, სტუდენტები.

მონიტორინგის ამ პერიოდში „ღია ეთერში“ განიხილეს შემდეგი საკითხები:

- ბიძინა ივანიშვილის გადანაცვლება სამოქალაქო სექტორში,
- მომავალი პრემიერის ვინაობა,
- ბოლო ათწლეულის შეფასება,
- ინაუგურაციის დეტალები,
- ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა და ბიუჯეტი,
- მოსალოდნელი საკადრო ცვლილებები,
- რა შეიცვლება პროკურატურის მუშაობაში,
- იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემები,
- ნაციონალური მოძრაობის მომავალი და სხვა.

ვახო სანაიას გადაცემა თითქმის ყოველთვის დაბალანსებულია. წარმოდგენილია სხვადასხვა მხარის პოზიცია და მაყურებელს აქვს საშუალება მოისმინოს განსხვავებული მოსაზრებები განხილული თემის ირგვლივ. ჟურნალისტი უმეტესად ორიენტირებულია კრიტიკული კითხვების დასმაზე და მათზე ამომწურავი პასუხის მიღებაზე, მიუხედავად იმისა თუ რომელი პოლიტიკური მხარის წარმომადგენელია რესპონდენტი. ჟურნალისტი ოპონირებას უწევს მათ და საპირისპირო არგუმენტები მოჰყავს. სანაია არ გამოირჩევა განსაკუთრებული ლოიალობით არც ერთი რესპონდენტის სასარგებლოდ, არ ჩანს მისი სიმპათიები ან ანტიპათიები რომელიმე პოლიტიკური გუნდის მიმართ. წამყვანი ობიექტურად ცდილობს ყველა სტუმარი თანაბარ მდგომარეობაში იყოს და მათ თანაბარი დრო ჰქონდეთ საკუთარი აზრის დასაფიქსირებლად. ჟურნალისტი აქტიურად არის ჩართული გადაცემის პროცესში და მის მიერ დასმული ყველა კითხვა გადაცემის თემის შესაბამისია.

განსხვავებული იყო 8 ნოემბრის გადაცემის მეორე ბლოკი, სადაც სტუმარი დავით დარაზველიძე იყო, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი. ხოლო სტუდიაში დევნილები ისხდნენ. ბლოკის დასაწყისში სანაიამ აღნიშნა, რომ ამ ბლოკში ის მაქსიმალურად შეამცირებს თავის კითხვებს, რომ დევნილებს მიეცეთ საშუალება, თავად დაუსვან კითხვები მინისტრს და ისაუბრონ თავის პრობლემებზე. გადაცემის მსვლელობისას ჟურნალისტი ყველას, ვისაც ჰქონდა სურვილი, აძლევდა საშუალებას დაესვა კითხვა და ამასთან, მინისტრს აცლიდა გაეცა პასუხი სრულად და დაესრულებინა საუბარი.

ასევე, შეიძლება გამოიყოს 25 ოქტომბრის გადაცემა, როდესაც სტუდიაში მხოლოდ საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები იყვნენ და არა პოლიტიკოსები. შეიძლება ითქვას, რომ გადაცემა შედარებით დაუბალანსებელი იყო. არჩევნებამდე ორი დღით ადრე სტუდიაში მოწვეული სტუმრები, ძირითადად, ერთ პოზიციას გამოხატავდნენ. მართალია, ერთმნიშვნელოვნად დადებითად არ იყვნენ განწყობილი დღევანდელი ხელისუფლებისადმი, თუმცა, ყველა მათგანი კრიტიკული იყო ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიმართ და მხოლოდ უარყოფით კონტექსტში აფასებდნენ მათ როლს პოლიტიკაში.

თოქ-შოუში „პოლიტიკის დრო“ 20 ოქტომბრიდან 15 ნოემბრამდე მოწვეული იყვნენ ძირითადად მაღალი თანამდებობის პოლიტიკოსები: პრემიერ-მინისტრი, მინისტრები, გიორგი მარგველაშვილი. ასევე, სხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები, ექსპერტები და სხვა. ამ პერიოდში გადაცემაში განხილული იყო შემდეგი საკითხები:

- ახალი პოლიტიკური რეალობა,
- საქართველოში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა,

- გიორგი მარგველაშვილის პოლიტიკის დრო,
- ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკის დრო,
- ახალი პრემიერ-მინისტრი,
- არის თუ არა ბაჩო ახალაიას შეწყალება პოლიტიკური გადაწყვეტილება და სხვა.

თოქ-შოუ ყოველთვის ეხმიანება იმ მომენტისთვის აქტუალურ საკითებს. ჟურნალისტი საკმაოდ აქტიურადაა გადაცემაში ჩართული. სტუმრებს ყოველთვის უწევს ოპონირებას და დამატებითი კითხვებით ცდილობს ამომწურავი ინფორმაციის მიღებას. ამასთან, არასოდეს იკვეთება თავად წამყვანის პოზიცია. სიჭინავა ყოველთვის ნეიტრალურად და ობიექტურად უძღვება გადაცემას. მისი გადაცემა შედარებით მშვიდად მიმდინარეობს, სტუმრებს ყოველთვის აქვთ საშუალება, ისაუბრონ და ბოლომდე დააფიქსირონ საკუთარი მოსაზრება.

28 ოქტომბერს გადაცემას სტუმრობდა გიორგი მარგველაშვილი. ჟურნალისტი საკმაოდ დადებითად იყო სტუმრის მიმართ განწყობილი. საუბარი არჩევნებს, არჩეული პრეზიდენტის მომავალ გეგმებსა და მის ბიოგრაფიას შეეხო. სიჭინავა ცდილობდა რესპონდენტი ისეთი კუთხით წარმოედგინა, როგორც მას მაცურებელი ნაკლებად იცნობს.

ასევე აღსანიშნავია 21 ოქტომბრის გადაცემა, როდესაც გადაცემაში ბიძინა ივანიშვილი იყო და მთელი გადაცემა მას დაეთმო. საუბარი შეეხო ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: კოალიციის პერსპექტივა, რუსეთთან ურთიერთობა, დეოკუპაციის პროცესი და ა.შ. თვა სიჭინავა ცდილობდა კითხვები განსხვავებული პოზიციიდან დაესვა და პრემიერისთვის ოპონირება გაეწია, თუმცა, სხვა გადაცემებთან და სტუმრებთან შედარებით ოპონირება ნაკლები იყო.

მაესტრო

მაესტროზე მონიტორინგი უკეთდება 3 თოქ-შოუს: „არგუმენტები“ ნინო თოლორდავასთან ერთად, „სუბიექტური აზრი“ დიანა ტრაპაიძეს და თეონა გეგელიას ავტორობით და „პოლიტმეტრი“, რომელსაც ნინო ჟიჟილაშვილი უძღვება. სამივე თოქ-შოუ სამუშაო დღეებში გადის; „სუბიექტური აზრი“ ყოველდღე, „არგუმენტები“ სამშაბათსა და ხუთშაბათს და „პოლიტმეტრი“ - ყოველ ორშაბათს, ოთხშაბათსა და პარასკევს.

„არგუმენტებში“ მოწვეული სტუმრები ყოველთვის სხვადასხვა მხარეებს წარმოადგენენ. რესპონდენტები არიან როგორც პოლიტიკოსები უმრავლესობიდან, უმცირესობიდან და მთავრობიდან, ისე სამოქალაქო სექტორიდან. გადაცემას ასევე სტუმრობენ სხვა ოპოზიციური პარტიების წევრები. 20 ოქტომბრიდან არჩევნების დღემდე გადაცემაში 4

საპრეზიდენტო კანდიდატი იყო მიწვეული: დავით ბაქრაძე, ნინო ბურჯანაძე, შალვა ნათელაშვილი და თეიმურაზ ლეჟავა. ამასთან, შალვა ნათელაშვილი არჩევნების შემდეგაც სტუმრობდა გადაცემას. განხილული თემები ყოველთვის აქტუალურია და სტუმრებიც განხილული თემის რელევანტურად არიან წარმოდგენილი. თემა ყოველთვის სხვადასხვა მხრიდან განიხილება და ამ მხრივ ბალანსი დაცულია.

20 ოქტომბრიდან 15 ნოემბრის ჩათვლით გასულ გადაცემებში შემდეგი თემები განიხილეს:

- ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკა,
- ახალი კადრები მთავრობაში,
- მთავარი პროკურორის თანამდებობიდან წასვლა,
- მიხეილ სააკაშვილის მიერ ბაჩო ახალაიას შეწყალება,
- ურთიერთობა რუსეთთან,
- საქართველოს არჩეული პრეზიდენტი და მისი ინაუგურაცია,
- კეზერაშვილის და ახალაიას საქმეები,
- ქვეყნის ეკონომიკური განვითარება,
- პრეზიდენტის მიერ საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება უცხოელებისთვის,
- სოჭის ოლიმპიადა, წავა თუ არა პრეზიდენტი ოლიმპიადაზე?
- ვილნიუსის სამიტი,
- გიორგი მარგველაშვილის ინტერვიუ რუსულ მედიაში და სხვა.

ნინო თოლორდავა საკმაოდ აქტიურად არის ჩართული გადაცემაში. სიღრმისეულად ფლობს ინფორმაციას განსახილველ თემებთან დაკავშირებით და კითხვებსაც საკმაოდ კონკრეტულს სვამს. წამყვანი ყველა სტუმარს თანაბარ მდგომარეობაში აყენებს, დროს თანაბრად ანაწილებს და თანაბრად მომთხოვნ კითხვებს სვამს. ყველა სტუმარს აქვს საშუალება ბოლომდე დააფიქსიროს თავისი აზრი. ხშირ შემთხვევაში წამყვანი სტუმრებს საწინააღმდეგო არგუმენტებს უპირისპირებს და კითხვას განსხვავებული პოზიციიდან სვამს. ამასთან, მისი პირადი პოზიცია უმეტესად არ ჩანს.

აღსანიშნავია გადაცემა, რომელსაც პრეზიდენტობის კანდიდატები სტუმრობდნენ. ისინი საკმაოდ არათანაბარ სიტუაციაში იყვნენ. პირველი ბლოკი, რომელშიც დავით ბაქრაძე იყო, ერთ საათს გაგრძელდა, მეორე - შალვა ნათელაშვილის მონაწილეობით - 26 წუთს, მესამე კი, რომელშიც თეიმურაზ ლეჟავა იყო, მხოლოდ 6 წუთს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ წამყვანი მათ ხშირად ეძიებოდა კითხვებით დეტალურ ინფორმაციას და კითხვებიც მეტ-ნაკლებად მომთხოვნი იყო.

მონიტორინგის ამ პერიოდში იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც გადაცემა დაანონსებულ თემას გასცდა და სხვა საკითხზე გაგრძელდა საუბარი. მაგალითად 14 ნოემბრის გადაცემაში, როდესაც სტუმრად იყო პაატა ზაქარეიშვილი, მას ჟურნალისტმა ჰკითხა, ვინ იყო

დაპატიჟებული ინაუგურაციაზე და ვინ არა. ამას სტუმრის უკმაყოფილება მოჰყვა და აღნიშნა, რომ ეს მის კომპეტენციაში არ შედიოდა. ამის გამო ინაუგურაციის თემა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე საუბარმა ჩაანაცვლა. ამავე გადაცემაში ჟურნალისტმა, ისევ ინაუგურაციაზე საუბრისას, აღნიშნა, რომ ცერემონიაში მონაწილეობა შესთავაზეს სუბიშვილებს და შემდეგ უარი უთხრეს. მომზადებულ სიუჟეტში კი, ნინო სუბიშვილი ამბობდა, რომ მათ არ მიუღიათ შეთავაზება. სამინისტრომ უბრალო დააზუსტა ამ დღეს მათი საქართველოში ყოფნის საკითხი. ჟურნალისტი კი არასწორი ინტერპრეტაციით უწევდა სტუმრებს ოპონირებას.

ნინო თოლორდავა გადაცემაში არასოდეს იყენებს არაეთიკურ და სიძულვილის ენის შემცველ ფრაზებს და სიტყვებს. ცდილობს ამ კუთხით სტუმრებიც გააკონტროლოს. ჟურნალისტის მიერ ნათქვამი ფაქტები და ინფორმაცია თითქმის ყოველთვის დადასტურებულია და წყარო აქვს მითითებული.

„სუბიექტური აზრი“ გამოირჩევა გადაცემაში განხილული თემების მრავალფეროვნებით. ამ კუთხით, განსაკუთრებით გამოირჩევა თოქ-შოუს პირველი ნაწილი, სადაც წამყვანები სტუმრების გარეშე საუბრობენ უფრო მეტად საინტერესო ფაქტებსა და არაპოლიტიზირებულ თემებზე. გადაცემის შემდეგ ნაწილებში საუბარი, როგორც ყველა პოლიტიკურ თოქ-შოუში, აქტუალური პოლიტიკური საკითხების განხილვით გრძელდება. გადაცემის სტუმრები არიან როგორც პოლიტიკოსები, ისე საზოგადოების სხვა სექტორის წარმომადგენლები: სოციოლოგები, მედიის წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ა.შ. პოლიტიკოსებიდან გადაცემას სტუმრობდნენ მინისტრები, სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლები. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის პერიოდში გადაცემას არცერთხელ არ სტუმრობდნენ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრები.

მონიტორინგის ამ პერიოდში (20 ოქტომბერი - 15 ნოემბერი) არჩევნების დღემდე საპრეზიდენტო კანდიდატებიდან გადაცემას სტუმრობდნენ აკაკი ასათიანი, გიორგი თარგამაძე და გიორგი მარგველაშვილი. არჩევნების შემდეგ კი, ნინო ბურჯანაძე.

თოქ-შოუში განიხილეს შემდეგი თემები:

- წინასაარჩევნოდ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევები,
- პრემიერ-მინისტრის წასვლა პოლიტიკიდან და პრემიერობის შესაძლო კანდიდატები,
- მიხეილ სააკაშვილის მიერ მოქალაქეობის მინიჭება ემიგრანტებისთვის,
- მომავალი მთავრობის ფორმირება,
- მიხეილ სააკაშვილის მმართველობის შეფასება,

- არჩევნების შედეგები,
- არჩეული პრეზიდენტი, რომელიც რუსულ მედიაში გამოჩნდა,
- ინაუგურაცია,
- ბიუჯეტი,
- ვილნიუსის სამიტი,
- კონსტიტუცია და საკონსტიტუციო ცვლილებები,
- კბილაშვილის პოლიტიკიდან წასვლა,
- რას ნიშნავს სამოქალაქო საზოგადოება და როგორია ის საქართველოში,
- კრიზისის საზოგადოებრივ მაუწყებელში და აჭარის ტელევიზიაში,
- ინიციატივა წამლების ურეცეპტოდ გაყიდვის აკრძალვასთან დაკავშირებით და სხვა.

დიანა ტრაპაიძე და თეონა გეგელია ყოველთვის აქტიურად არიან გადაცემაში ჩართული და საკმაოდ ხშირად აფიქსირებენ საკუთარ მოსაზრებებს. უფრო მეტად ეს გადაცემის პირველ ნაწილში ხდება, სადაც სტუმრები არ არიან. თუმცა, სტუმრებთან საუბრის დროსაც ხშირად ჩანს მათი პოზიცია. ეს უმეტესად ყოფილი ხელისუფლების, მიხეილ სააკაშვილისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის უარყოფით შეფასებებში იკვეთება, მაშინ როდესაც ახლანდელი მთავრობა და ხელისუფლება მათი მხრიდან ძირითადად შექებისა და დადებითი შეფასებების ობიექტია.

წამყვანების მხრიდან ხშირია ირონია და ცინიზმი. ასეთი დამოკიდებულება ხშირად არავერბალური ენითაც ვლინდება, როდესაც წამყვანები თავიანთი კომენტარის შემდეგ ერთმანეთს გადახედავენ, ან გაიღიმებენ. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ 15 ნოემბრის გადაცემა, სადაც ძირითადი თემა მიხეილ სააკაშვილის მმართველობა იყო. მთელი გადაცემის განმავლობაში ეს თემა ირონიულად და უარყოფითი კონტექსტით განიხილებოდა. წამყვანებმა სტუმრებთან ერთად პრეზიდენტის მხოლოდ ყველაზე უარყოფითი მომენტები გაიხსენეს. იყო შემთხვევები, როდესაც წამყვანები ახლანდელ ხელისუფლებასაც აკრიტიკებდნენ. მაგალითად, 4 ნოემბერს ირაკლი ღარიბაშვილზე იყო საუბარი, სადაც ჟურნალისტებმა მის უარყოფით გადაწყვეტილებებსა და ფაქტებზე ისაუბრეს. თუმცა, ეს შედარებით ნაკლებად ხდებოდა.

სტუდიაში ყოველთვის ერთი რესპონდენტი ზის და წამყვანები მის მიმართ საკმაოდ დადებითად არიან განწყობილი, საკმაოდ შინაურულად და ფამილარულად ესაუბრებიან. დიანა ტრაპაიძე და თეონა გეგელია რესპონდენტებს ხშირად აწყვეტინებენ საუბარს, ძირითადად საკუთარი მოსაზრებების, კომენტარების, რეპლიკების ან დამატებითი რიტორიკული და სახუმარო კითხვების დასმის მიზნით. თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, ასეთი კითხვებით და კომენტარებით სტუმრისგან საპირისპირო მოსაზრებას აფიქსირებენ. მიუხედავად ამისა, ჟურნალისტების მხრიდან სიმულვილის ენა არ გამოიყენება.

აღსანიშნავია 5 ნოემბრის გადაცემა, როდესაც სტუმრად ნინო ბურჯანაძე იმყოფებოდა. ჟურნალისტების უარყოფითი დამოკიდებულება რესპონდენტის მიმართ ცხადი იყო. ძალიან ხშირად აწყვეტინებდნენ საუბარს და არ აძლევდნენ საშუალებას რომ აზრი დაემთავრებინა. როდესაც ბურჯანაძემ უთხრა ჟურნალისტებს, რომ მისთვის საუბრის საშუალება მიეცათ და არ შეეწყვეტინებინათ ყოველ წუთს, თეონა გეგელიამ ასე უპასუხა - „ხომ მაგრამ ტონი გაქვთ ძალიან ცუდი. იმიტომ, რომ ჩვენ ვართ ჟურნალისტები, გისვამთ შეკითხვებს... თქვენ გვიბრაზდებით, გვეუბნებით: უკაცრავად, მაცადეთ, თუ არ გინდათ წავალ. ეს არ არის ეხა ფორმა. თქვენ შეიძლება ნაწყენი ხართ ვიღაცაზე და რაღაცაზე, მაგრამ ჩვენი ბრალი არ არის... გისმენთ, გაგვაცანით თქვენი მოსაზრება და ცოტა კორექტული ფორმით. არ ვიცი მე არ მომწონს თქვენი საუბარი, მაპატიეთ.“

„პოლიტიკტი“ მოწვეული სტუმრების მხრივ ძალიან მრავალფეროვანია. გადაცემაში ყოველთვის წარმოდგენილია ორი ან მეტი მხარე. მოწვეული არიან როგორც უმრავლესობის და მთავრობის წევრები, ისე საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიცია. გადაცემას ასევე ხშირად სტუმრობენ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ექსპერტები, ხელოვნების სფეროს წარმომადგენლები და ა.შ. თოქ-შოუში განხილული თემებიც ყოველთვის იმ მომენტისთვის ყველაზე აქტუალურ და მნიშვნელოვან საკითხებს ეხება. 20 ოქტომბრიდან 15 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში „პოლიტიკტი“ შემდეგი თემები განიხილეს:

- წინასაარჩევნო გარემო,
- ევროპის წინასაარჩევნო გზავნილები ბიძინა ივანიშვილს და მისი პასუხი პარტნიორებს,
- ვინ იქნება ახალი პრემიერ-მინისტრი?
- ინაუგურაცია,
- რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა,
- პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი,
- 2014 წლის ბიუჯეტი,
- პრეზიდენტის შეწყალების აქტი,
- ახალი მთავარი პროკურორი,
- გიორგი მარგველაშვილის ინტერვიუ რუსეთის ტელევიზიის პირველ არხზე და სხვა.

თოქ-შოუ არის საკმაოდ დაბალანსებული და ობიექტური. ჟურნალისტი აქტიურად არის ჩართული გადაცემის პროცესში. პირველ ბლოკში, სადაც ჟურნალისტი პირისპირ ზის რესპონდენტებთან, საკმაოდ მომთხოვნი და კრიტიკულია. იგი საკუთარი პოზიციის დაფიქსირების გარეშე უწევს რესპონდენტებს ოპონირებას. მიუხედავად სტუმრების

პოლიტიკური წარმომავლობისა, წამყვანი კითხვას ყოველთვის მათი მოსაზრების საპირისპირო მხრიდან სვამს. მეორე ბლოკში, სადაც დისკუსიის რეჟიმში მიდის გადაცემა, ჟიჟილაშვილი ოდნავ პასიური ხდება და აცდის სტუმრებს კამათს. ამასთან, ცდილობს ოპონენტებს წარუდგინოს ერთმანეთის არგუმენტები და მათგანაც მოისმინოს საპირისპირო მოსაზრებები. ის არ ავლენს მხარდაჭერას რომელიმე მათგანის მიმართ.

სიმულვილის ენას ან არაკორექტულ გამონათქვამებს წამყვანი არ იყენებს. გადაცემა თითქმის ყოველთვის წინასწარ დაანონსებული თემის განხილვას ეთმობა. თუმცა, იყო რამდენიმე შემთხვევა როდესაც წამყვანი და სტუმრები გასცდნენ მთავარ თემას და სხვა საკითხებს დაუთმეს მეტი დრო. ჟიჟილაშვილის მიერ გახმოვანებული ინფორმაცია ყოველთვის დადასტურებულია და მოყვანილია წყარო.

სპეციალური გადაცემა გავიდა არჩევნების დღეს - 27 ოქტომბერს. გადაცემა სტუმრების მხრივ არ იყო დაბალანსებული, რადგან ძირითადად წარმოდგენილი იყვნენ ქართული ოცნების წარმომადგენლები და მათი მხარდამჭერები. შესაბამისად გადაცემა ძირითადად გიორგი მარგველაშვილის არჩევნებში გამარჯვებას მიეძღვნა. თავად ჟიჟილაშვილი საკმაოდ პასიური იყო, რადგან ძალიან ბევრი სტუმარი იყო სტუდიაში და ძირითადად ისინი საუბრობდნენ.

კავკასია

კავკასიაზე მონიტორინგი უკეთდება სამ თოქ-შოუს. ესენია: „სტუდია სპექტრი“, რომლის წამყვანია დავით აქუბარდია; „ბარიერი“, რომლის წამყვანები არიან ალექსანდრე ელისაშვილი და ნინო ჯანგირაშვილი და „ცხელი ხაზი“, რომელსაც ალექსანდრე ელისაშვილი უძღვება და მასთან ერთად მორიგეობით არიან ზვიად ქორიძე და მერაბ მეტრეველი. „სტუდია სპექტრი“ ეთერში ყოველ სამუშაო დღეს გადის, „ცხელი ხაზი“ კვირაში სამჯერ, „ბარიერი“ კი - კვირაში ორჯერ.

„სტუდია სპექტრში“ მოწვეული სტუმრები უმეტესად არიან ექსპერტები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, პოლიტოლოგები, სოციოლოგები, მედიის წარმომადგენლები, სტუდენტები და სხვა არაპოლიტიკური წარმომავლობის რესპონდენტები. რაც შეეხება, პოლიტიკოს სტუმრებს, მათგან თოქ-შოუში ხშირად არიან მთავრობის და უმრავლესობის წევრები და მათი მხარდამჭერები, ან მათ მიმართ ლოიალურად განწყობილი ადამიანები. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები და მხარდამჭერები თითქმის არასოდეს სტუმრობდნენ გადაცემას.

არჩევნების დღეს (27 ოქტომბერს) გადაცემაში ბევრი სტუმარი იყო მოწვეული. თითქმის ყველა მათგანი ახალი ხელისუფლებისადმი დადებითად განწყობილი ადამიანი იყო. ამ გადაცემაში ერთ-ერთი სტუმარი გელა სალუაშვილიც იყო. წამყვანმა აღნიშნა, რომ სხვა საპრეზიდენტო კანდიდატებიც იყვნენ მოწვეული, მაგრამ არავინ დასთანხმდა გადაცემაში მონაწილეობას გელა სალუაშვილის გარდა. განსაკუთრებული იყო ასევე, 24 ოქტომბრის გადაცემა, როდესაც სტუმრად ბიძინა ივანიშვილი და გიორგი მარგველაშვილი იყვნენ.

მონიტორინგის ამ პერიოდში „სტუდია სპექტრი“ შემდეგ თემებზე ისაუბრეს:

- წინასაარჩევნო სიტუაცია ქვეყანაში,
- მიხეილ სააკაშვილის მმართველობის დასასრული,
- საქართველოს კონსტიტუცია და ცვლილებები,
- საპრეზიდენტო არჩევნები,
- 2007 წლის 7 ნოემბერი,
- მართლმსაჯულების სისტემა,
- არჩილ კბილაშვილის გადადგომა,
- ეკონომიკა,
- კოჰაბიტაციის დასრულება,
- ახალი პრემიერ-მინისტრი - გეგმები და მოსალოდნელი ცვლილებები,
- ინაუგურაცია,
- პრეზიდენტის სასახლე,
- სხვადასხვა სექტორში არსებული პრობლემები,
- მიხეილ სააკაშვილის ბოლო მიმართვა,
- პრეზიდენტის შეწყალება და სხვა.

თოქ-შოუ საკმაოდ ტენდენციურია. მოწვეულ სტუმრებსა და წამყვანს თითქმის ყოველთვის საერთო აზრი აქვთ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით და საუბარი მშვიდ გარემოში მიმდინარეობს. გადაცემას ხშირად სტუმრობენ ერთი და იგივე ადამიანები, რომლებსაც წამყვანი „არაჩვეულებრივი ადამიანი“, „ადამიანი რომელიც ძალიან მესიმპათიურება“ ამ სიტყვებით წარადგენს. თოქ-შოუ შინაურულ გარემოში მიმდინარეობს, წამყვანი ყველას მიმართ დადებითად არის განწყობილი და ხშირად აღნიშნავს, რომ ისინი მეგობრები არიან. ხშირად მათ მეგობრულ რჩევებს ან მეგობრულ შენიშვნებს აძლევს. მაგალითი: 21 ოქტომბერი, სტუმარი ლევან ბერძენიშვილი, საუბარია არჩევნებზე: „ლევან, მაპატიე რა, დიდ პატივს გცემ. დიდი ბოდიში, მეგობრები ვართ, ამდენი წელია ვიცნობთ ერთმანეთს. ბიჭო, ეს თქვენი მუშაობის პრობლემაა, ესე იგი ცუდად მუშობთ...“ თან იცინის.

აქუბარდიას ჩართულობა სხვადასხვა გადაცემებში განსხვავდება. ხანდახან ის ძალიან აქტიურია და არის შემთხვევები, როდესაც სტუმარზე მეტს საუბრობს. აწყვეტინებს მათ

საუბარს რომ თავისი მოსაზრება დააფიქსიროს. ასევე ახასიათებს სასაუბრო თემიდან გადახვევა სრულიად სხვა საკითხზე. მეორესმხრივ, არის შემთხვევები, როდესაც ძალიან პასიურია და გადაცემის მსვლელობაში თითქმის არ მონაწილეობს. ძალიან ხშირად აფიქსირებს საკუთარ მოსაზრებას, ყვება მოსმენილ ისტორიებს, ასახელებს ციფრებს, პროცენტებს; თუმცა, ხშირად გაურკვეველია ინფორმაციის წყარო.

წამყვანი არასოდეს მალავს თავის უკიდურესად უარყოფით დამოკიდებულებას მიხეილ სააკაშვილისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრების მიმართ. სისტემატიურად იყენებს არაეთიკურ და არაკორექტულ გამონათქვამებს მათ მიმართ, ხშირად მოიხსენიებს მათ „ნაცისტებად“. ასევე, მისი მხრიდან ხშირია ისეთი ტერმინების გამოყენება, როგორებიცაა: „გარეკა“, „იდიოტი“, „მაგ უბედური“, „ტარტაროზი“, „ბედოვლათი“, „დებილი“, „ქაჯობა“, „ბოდმის ბუკეტი“, „საფრთხოებელა“, „ურჩხული“, „კრიმინალი“, „გიჟი“, „ვრედნი“, „დაწანწალებს“, „ბინძური ტიპი“, „ვირ-ემმაკობა“, „ბებია უჭყავის“ და ა.შ.

აღსანიშნავია 24 ოქტომბრის გადაცემა, სადაც სტუმრად ბიძინა ივანიშვილი და გიორგი მარგველაშვილი იყვნენ. აქუბარდია ძალიან ფამილარული და საკმაოდ აქტიური იყო. ივანიშვილს „ბიძინათი“ მიმართავდა, მაშინ როდესაც თვითონ პრემიერ-მინისტრი მას „ბატონო დავით“-ით მიმართავდა. რესპონდენტებს ხშირად არ აცდიდა საუბარს და ყვებოდა ისტორიებს და ამბებს სხვადასხვა საკითხებზე, როდესაც ისინი სერიოზულად საუბრობდნენ ეკონომიკაზე ან საარჩევნო პროგრამაზე. მარგველაშვილმა ამაზე რამდენჯერმე კომენტარიც გააკეთა.

მაგალითი: როდესაც ბიძინა ივანიშვილი საუბრობდა მარგველაშვილზე, როგორც საპრეზიდენტო კანდიდატზე აქუბარდიამ მას შემდეგი ტექსტით გააწყვეტინა: „თქვენ თქვით, რო გიორგი ძალიან სიმპათიური და კარგი არისო. მე ვთვლი, რომ ის გაბურძნული უფრო კარგი იყო, გიორგი.“

ასევე, როდესაც მარგველაშვილი საუბრობდა საარჩევნო გარემოზე წამყვანმა შეაწყვეტინა: „მაცადე, ბიჭო, მოკვდები სიცილით. აი, იმისი რა ქვია, პეკინზე რო გადადის ყაზბეგის ქუჩა. იქ ხომ შუქნიშანთან მათხოვრები მოდიან, ციგნები. ესე იგი დაადგა და მიახია ბაქრაძე, შენც ზედ მიგაყოლა. რა პლაკატებიც იყო, სულ ყველა და თან ძია დამეხმარეო.“

არჩევნების დღეს გასული გადაცემაც საკმაოდ ტენდენციური იყო. მოწვეული იყო ბევრი სტუმარი როგორც სადამკვირვებლო ორგანიზაციებიდან, ისე კოალიციის წარმომომადგენლები. წამყვანი ხაზს უსვამდა იმას, რომ ასეთი არჩევნები ჯერ არასოდეს ჩატარებულა საქართველოში და ის დარღვევები, რომლებიც დაფიქსირდა ძალიან უმნიშვნელოა. ასევე, გამოთქვამდა უკმაყოფილებას რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კანდიდატმა ამხელა პროცენტი მიიღო.

თოქ-შოუს „ცხელი ხაზი“ მონიტორინგის ამ პერიოდში სტუმრობდნენ ძირითადად არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ექსპერტები და საზოგადოების სხვა წევრები. გადაცემას ასევე სტუმრობდა საპრეზიდენტო კანდიდატი გიორგი თარგამაძე. აღსანიშნავია, რომ გადაცემას ხშირად სტუმრობენ ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები, თუმცა თითქმის არასოდეს არიან ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრები ან მათი მხარდამჭერები.

მონიტორინგის ამ პერიოდში გადაცემაში შემდეგი თემები განიხილეს:

- როგორ აშუქებს მედია არჩევნებს,
- მართლმსაჯულება,
- ეკონომიკური საკითხები,
- კოჰაბიტაცია,
- სააკაშვილის მიერ გამოცემული შეწყალების აქტი,
- თვითმმართველობის რეფორმა,
- ვილნიუსის სამიტი,
- არჩევნების შეფასება,
- შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაობა,
- ღარიბაშვილი, როგორც პრემიერ მინისტრი,
- რესპუბლიკური პარტიის ახალი ლიდერი,
- პრეზიდენტის მიერ საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება,
- არჩილ კბილაშვილის გადადგომა და სხვა.

გადაცემას ალექო ელისაშვილთან ერთად მორიგეობით უძღვებიან ზვიად ქორიძე და მერაბ მეტრეველი. კვირაში ერთხელ ელისაშვილს ჰყავს თანაწამყვანი და მასთან ერთად მიჰყავს გადაცემა. ფორმატიდან გამომდინარე გადაცემაში რეკავენ მაყურებლები და გამოთქვამენ საკუთარ შეხედულებას განხილულ თემასთან დაკავშირებით. საერთო ჯამში გადაცემაში მთავარ საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრებები ფიქსირდება. გადაცემის პირველი ნაწილში მხოლოდ ჟურნალისტები საუბრობენ და განიხილავენ სხვადასხვა თემებს, აჩვენებენ მომზადებულ სიუჟეტს. გადაცემის ეს ნაწილი ხშირად უფრო ინფორმაციულია, ჟურნალისტებიც უფრო აქტიურები არიან. თუმცა, მათი პირადი მოსაზრებებისა და პოზიციის დაფიქსირებაც ყველაზე მეტად ამ ბლოკში ხდება.

გადაცემის მეორე ბლოკში, სადაც სტუდიაში სტუმრებიც არიან, ელისაშვილს, მეტრეველსა და ქორიძეს შორის გადაცემის მსვლელობისას ყველაზე პასიური, როგორც ჟურნალისტი, არის ალექო ელისაშვილი. იგი იშვიათად ეძიება სტუმრებს დამატებითი ინფორმაციისთვის და იშვიათად სვამს დამატებით კითხვებს. მისი ჩართვა გადაცემაში, ძირითადად, საკუთარი აზრისა და პოზიციის დაფიქსირებას ემსახურება, რომელიც უმეტესად ყოფილ

ხელისუფლებასა და მიხეილ სააკაშვილზე უარყოფით კონტექსტში საუბრით გამოიხატება. აქვე აღსანიშნავია, რომ ელისაშვილი ხშირად საუბრობს ირონიულად შალვა ნათელაშვილზე.

ზვიად ქორიძე ყოველთვის ობიექტურია. მისი მონაწილეობით გადაცემა უფრო მშვიდი და ინფორმაციულია. იგი საკუთარი პოზიციის დაფიქსირების გარეშე უწევს რესპონდენტებს ოპონირებას. აქტიურადაა ჩართული გადაცემის პროცესში და საკმაოდ ვრცელ, განმარტებით შეკითხვებს უსვამს სტუმრებს. აღსანიშნავია, რომ წამყვანები ყოველთვის ცდილობენ სტუმრები თანაბარ პირობებში იყვნენ, მიეცეთ საკუთარი აზრის ბოლომდე გამოთქმის საშუალება და დროც თანაბრად გაუნაწილდეთ.

თოქ-შოუს „ბარიერი“ ორი სხვადასხვა წამყვანი ჰყავს: ნინო ჯანგირაშვილი და ალექო ელისაშვილი. გადაცემა გამოირჩევა სტუმრების სიმრავლით. მონაწილეობენ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები, როგორც უმრავლესობიდან, ისე (შედარებით იშვიათად) უმცირესობიდან და მათი მხარდამჭერები. თოქ-შოუს ხშირად სტუმრობენ სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები და ექსპერტები. გადაცემა ხშირად ცხარე კამათში გადაიზრდება, რომლის დროსაც წამყვანებს სიტუაციის გაკონტროლება უჭირთ. 20 ოქტომბრიდან 15 ნოემბრამდე პერიოდში გადაცემაში განიხილეს მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, მათ შორის:

- წინასაარჩევნო გარემო და დარღვევები,
- საპრეზიდენტო არჩევნები,
- კონსტიტუციური მონარქიის აღდგენა,
- პრეზიდენტის ინაუგურაცია: დაპატიჟებული სტუმრები, სტუმრების დაპატიჟების პრინციპი,
- რა ბედი ელის პრეზიდენტის სასახლეს,
- პრეზიდენტის შეწყალება,
- ახალი რეგულაციები მედიკამენტთან დაკავშირებით და სხვა.

გადაცემის წამყვანების მუშაობის სტილი ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავდება. ჯანგირაშვილი ცდილობს, ჩაემიოს სტუმრებს, დამატებითი ინფორმაცია მიიღოს მათგან და საწინააღმდეგო არგუმენტებიც დაუპირისპიროს. ელისაშვილი კი ნაკლებად ეძიება და უმეტესად რომელიმე ფაქტის ან მოვლენის შეფასებას სთხოვს სტუმრებს და თავის პოზიციას აფიქსირებს. ჯანგირაშვილი უფრო მეტად მოდერატორია, ცდილობს, რომ სტუმრებს თანაბრად ჰქონდეთ აზრის დაფიქსირების საშუალება. ელისაშვილი კი ხშირად კამათში არ ერევა და მის გადაცემებში იმ სტუმრებს ენიჭებათ უპირატესობა, ვინც თვითონვეა აქტიური. დანარჩენებს შეიძლება, გადაცემაში მხოლოდ ერთხელ მოუწიოთ კომენტარის გაკეთება. 1 ნოემბრის თოქ-შოუში, მაგალითად, სადაც თვა თუთბერიძე იყო სტუმრად, მისი გაჩერება

წამყვანმა ვერ შეძლო. გადაცემა ხმამაღალი საუბრის ფონზე მიმდინარეობდა და რამდენიმე სტუმარმა სტუდია დატოვა.

ალეკო ელისაშვილისთვის დამახასიათებელია სტუმრებისთვის კითხვის დასმის თუ რაიმე კომენტარის გაკეთების დროს საკუთარი აზრის დაფიქსირება და ხუმრობა. მაგალითად, 25 ოქტომბრის გადაცემაში ამბობს: „ადრე მამამაღლობა ახლდა საარჩევნო პერიოდს. კოორდინატორები, დაბარებები. არჩევნების მთელი პროცესი იყო მამამაღლობა. ყველას გვსმენოდა, რომ ყალბი პირადობის მოწმობები იბეჭდებოდა.“ ან იგივე 25 ოქტომბრის გადაცემაში ხუმრობს: „კახა კახიშვილი რამე კრიტიკულს თუ არ მოიგონებს, ჩაგვივარდა გადაცემა და ეგაა.“ 8 ნოემბრის გადაცემაში მიმართავს სტუმარს, გიორგი უძილაურს: „გიორგი, კბილაშვილის გარჯა თუ მოგწონდა? მე ერთი მომწონს, ახალი მოდა ხელისუფლების, რომ წასვლა უყვართ. აქამდე პრობლემა იყო. ვინც მოდიოდა, აღარ მიდიოდა. ეხლა რაღაცა რიგი დგას, რომ სამოქალაქო სექტორში ადგილს აღარ დაგვიტოვებენ.“

სიძულვილის ენას წამყვანები არ იყენებენ. უბრალოდ ალეკო ელისაშვილის ხუმრობები და საუბრის სტილი ხშირად ზედმეტად თავისუფალია. ჯანგირაშვილი ყოველთვის კორექტულია და სტუმრების მხრიდან სიძულვილის ენის გამოყენებაზეც რეაგირებს. მაგალითად, 5 ნოემბრის გადაცემაში ერთ-ერთი სტუმარი, გიორგი ოთხმეზური ამბობს, რომ „ლგბტ სიმახინჯედ“ მიაჩნია და ჯანგირაშვილი პასუხობს: „ეს თქვენი აზრია, ბატონო გიორგი“.

ტაბულა

ტაბულაზე დაკვირვება ხდება პოლიტიკურ თოქ-შოუზე „ფოკუსი“, რომლის წამყვანებიც მონაცვლეობით არიან სალომე უგულავა და ნინო მაჭარაშვილი. გადაცემა 23 სექტემბრიდან გადის ეთერში ყოველ სამუშაო დღეს - 22:00 საათზე.

გადაცემაში მოწვეული სტუმრები იყვნენ როგორც უმრავლესობის და მთავრობის წევრები, ისე ოპოზიციური პარტიები. აღსანიშნავია, რომ ოპოზიციური პარტიებიდან ძირითადად ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრები იყვნენ წარმოდგენილი. მთავრობის წევრებთან დებატებშიც ყოველთვის ნაციონალური მოძრაობის ლიდერები იყვნენ. თოქ-შოუში ასევე ხშირად არიან მოწვეული სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები: სოციოლოგები, ფილოსოფოსები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ექსპერტები და სხვა.

თოქ-შოუ შემდეგ თემებს შეეხო:

- საპრეზიდენტო არჩევნები 2013,
- საქართველო-ამერიკის ურთიერთობები,
- საქართველო-რუსეთის ურთიერთობები,
- ვილნიუსის სამიტი,
- მედია საარჩევნო პერიოდში,
- პრემიერ-მინისტრის გეგმები,
- არჩილ კბილაშვილის მიერ პროკურორის პოსტის დატოვება,
- წინა ხელისუფლების მიერ აშენებული შენობების ფუნქციის შეცვლა ახალი ხელისუფლების მიერ,
- ირაკლი ღარიბაშვილის უწყების მუშაობის ერთი წლის ანგარიში,
- სასამართლო რეფორმა,
- ბიუჯეტი 2014,
- ახალი კონსტიტუცია,
- თვითმმართველობის რეფორმა,
- გიორგი მარგველაშვილის ინტერვიუ რუსეთის სახელმწიფო ტელევიზიის პირველ არხთან,
- ინაუგურაცია და სხვა.

გადაცემას მორიგეობით უძღვებიან სალომე უგულავა და ნინო მაჭარაშვილი. ხშირად გადაცემა დაბალანსებულია და წარმოდგენილია ორი მხარე. წამყვანები აქტიურად არიან ჩართული გადაცემაში და საკმაოდ მომზადებული არიან განხილულ თემაზე სასაუბროდ. მიუხედავად იმისა, რომ გადაცემაში სტუმრების მხრივ მრავალფეროვნებაა, ხშირად გადაცემას ახლანდელი ხელისუფლების კრიტიკა და ყოფილი ხელისუფლების ლოიალური შეფასება გასდევს თან. თავად ჟურნალისტების მიერ დასმული კითხვებიდან და გაკეთებული კომენტარებიდან ხშირად იკვეთება პოზიცია; ისინი მეტად უწყვენ ოპონირებას მთავრობის წარმომადგენლებს. შესამჩნევია მათი მუდმივად კრიტიკული დამოკიდებულება ხელისუფლებისა და მათი პროექტების მიმართ და ამავდროულად, დადებითი დამოკიდებულება უმცირესობის წევრების, კერძოდ, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიმართ. ჟურნალისტების მხრიდან ხშირია ირონიული რეპლიკები და კომენტარები ბიძინა ივანიშვილის მისამართით.

აღსანიშნავია, არჩევნების დღეს გასული გადაცემა, რომელსაც უძღვებოდა ნინო მაჭარაშვილი. იგი ჩართვების დროს, ყველა რესპონდენტთან ყურადღებას ამახვილებდა იმაზე, რომ წელს არჩევნებზე უფრო დაბალი აქტივობა იყო და უფრო მეტი დარღვევა ვიდრე 2012 წლის არჩევნებზე. ირონიული იყო მისი დამოკიდებულება სოზარ სუბარის მიმართ,

რომელიც გადაცემაში ჩართეს, როდესაც ჟურნალისტმა საუბარი ვანო მერაბიშვილის არჩევნების დროს ციხეში ყოფნაზე გაამახვილა.

სალომე უგულავა და ნინო მაჭარაშვილი ხშირად ცდილობენ დამატებითი კითხვებით რესპონდენტებისგან მეტი ინფორმაცია მიიღონ საკითხთან დაკავშირებით. ასევე, გამოთქვამენ სტუმრის საპირისპირო მოსაზრებას და მათ ოპონირებას უწევენ, მიუხედავად მათი პოლიტიკური წარმომავლობისა. თუმცა, ეს გადაცემის საერთო ტენდენციურობას ვერ აბათილებს. წამყვანები არასოდეს იყენებენ სიმულვილის ენას ან არაკორექტულ გამონათქვამებს.

ტვპ

თოქ-შოუ „დიდი პოლიტიკა“, რომელიც ყოველ სამუშაო დღეს გადის ეთერში განიხილავს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს. გადაცემის თემა იმ მომენტისთვის ყველაზე აქტუალურ საკითხს ეხება. გადაცემის წამყვანია ინგა გრიგოლია, თუმცა, რიგ შემთხვევებში მას ნოდარ მელაძე ენაცვლება ან მასთან ერთად მონაწილეობს გადაცემაში. გადაცემა სტუმრების მხრივ დაბალანსებულია, მონაწილეობენ როგორც ხელისუფლების, ასევე ოპოზიციის წარმომადგენლები. აქვე აღსანიშნავია, რომ გადაცემას ყოველთვის მაღალი რანგის პოლიტიკური ფიგურები სტუმრობენ: მთავრობის წარმომადგენლები, საპარლამენტო კომიტეტების თავმჯდომარეები, პარტიის წევრები, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები, საპრეზიდენტო კანდიდატები.

მონიტორინგის პერიოდში გადაცემაში განიხილეს ყველა ძირითადი პოლიტიკური მოვლენა, მათ შორის:

- საპრეზიდენტო არჩევნები,
- ვანო მერაბიშვილი - დამნაშავე თუ პოლიტპატიმარი,
- გრიგით საიდუმლო: ეგრეთ წოდებული „ჯაშუშების“ და ფოტორეპორტიორების სკანდალური საქმის კვალდაკვალ,
- ბაჩო ახალაიას გამამართლებელი განაჩენი,
- კონსტიტუციური მონარქიის აღდგენა,
- ცვლილებები მთავრობაში: ახალგაზრდა მინისტრები,
- ახალი მთავრობის გეგმები,
- პრეზიდენტის შეწყალება,
- არჩილ კვიციანიშვილის თანამდებობიდან გადადგომა,
- 26 მაისი და 7 ნოემბერი,
- უნდა ერეოდეს თუ არა ეკლესია პოლიტიკაში და სხვა.

თოქ-შოუ ყოველთვის ძალიან დინამიურია, რადგან თავად ინგა გრიგოლია ყველა გადაცემაში ძალიან აქტიურადაა ჩართული. იგი ყოველთვის კარგადაა მომზადებული გადაცემისთვის და ფლობს საკმაოდ ბევრ ინფორმაციას, რაც ეხმარება სიღრმისეული და ვრცელი კითხვების დასმაში. კითხვის ფორმულირებისას ინგა გრიგოლია ხშირად ცდილობს, კითხვას სკანდალური ელფერი შემატოს. ასევე ცდილობს, ექსკლუზიური პასუხები მიიღოს სტუმრებისგან. მისი კითხვები ყოველთვის მწვავეა, ზოგჯერ პროვოკაციული შინაარსის, და გადაცემის სტუმრებს ხშირად უწევს ოპონირებას მათი ნათქვამის საწინააღმდეგო არგუმენტებით. თუმცა, ინგა გრიგოლიასთვის დამახასიათებელია გარკვეულ შემთხვევებში კითხვის დასმასთან ერთად საკუთარი პოზიციის გამოხატვაც, რაც უფრო მეტად ყოფილი ხელისუფლების კრიტიკას უკავშირდება. საკუთარი პოზიციის გამჟღავნების შემთხვევები არჩევნების შემდეგ გარკვეულწილად გახშირდა.

ინგა გრიგოლიას გადაცემაში სტუმრებს აქვთ საკუთარი აზრის გამოხატვის საშუალება, მაგრამ წამყვანისთვის დამახასიათებელია საუბარში ჩართვა, შეწყვეტა და ჩაძიება. ამას ხშირად ინფორმაციის დაზუსტებისთვის აკეთებს. თუმცა, თავად რაიმე ინფორმაციის მოწოდებისას ხშირად არ აზუსტებს წყაროს და ამბობს „ჩვენი ინფორმაციით“.

ინგა გრიგოლია სიძულვილის ენასა და არაკორექტულ გამონათქვამებს არ იყენებს. სტუმრების მხრიდან ასეთი ფაქტები ძალიან იშვიათია. თუმცა, წამყვანი ამაზე რეაგირებას ახდენს და კორექტულობისკენ მოუწოდებს. ზოგჯერ მის მიმიკებსა და ჟესტებში იგრძნობა ირონია. მაგალითად, 29 ოქტომბრის გადაცემაში ნოდარ ხადურს უსვამს შემდეგ კითხვას: „თქვენ ფიქრობთ, რომ შეიძლება საპარლამენტო უმრავლესობამ გაბედოს და უარი შეჰკადროს მის მიერ შემოთავაზებულ კანდიდატურაზე?“ სადაც აშკარად იგრძნობოდა მისი ირონია.